

**საქართველოს კანონი**  
**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და**  
**დამატების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. 107<sup>2</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 107<sup>2</sup>. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემთხვევები**

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსის 143<sup>1</sup>, 143<sup>2</sup>, 186-ე, 192-ე, 194-ე, 194<sup>1</sup>, 221-ე, 224<sup>1</sup>, 227<sup>1</sup>, 227<sup>2</sup>, 231<sup>1</sup>, 255<sup>1</sup>, 260-ე-271-ე, 322<sup>2</sup>, 323-ე-330-ე, 330<sup>1</sup>, 330<sup>2</sup>, 331<sup>1</sup>, 339-ე, 339<sup>1</sup>, 344<sup>1</sup>, 364-ე, 365-ე და 372-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის.“.

2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის XXXVII<sup>1</sup> თავი:

**„თავი XXXVII<sup>1</sup>**

**ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა**

**მუხლი 322<sup>1</sup>. ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა**

1. უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის დარღვევით, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) ძალადობით ან ძალადობის მუქარით;

დ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება საქართველოში გადმოსულ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ან მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად თავშესაფარს სთხოვს ხელისუფლებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. ეს მუხლი არ ვრცელდება აგრეთვე პირზე, თუ აღნიშნული ქმედება მან ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე.

**მუხლი 322<sup>2</sup>. ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება**

1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის;

გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგ იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.“.

3. 353-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იგივე ქმედება, ჩადენილი ჯგუფის მიერ, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.“.

## **მუხლი 2**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი

თბილისი,

2008 წლის 19 დეკემბერი.

№795–III